# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**დღესასწაულობის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 29 დეკ.**

21 დეკემბერს, ღამის 2 საათზედ გარდაიცვალა ფილტვების ანთებით ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი მოღვაწე, ჟურნალ „ცისკარი“-ს რედაქტორად ნამყოფი **ივანე ივანეს ძე კერესელიძე**, 63 წლისა, ავლაბარში, სირაჩხანას თავზე ეჩმიაწინის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში. დაასაფლავებენ შაბათს, 26 დეკემბერს, გამოსვენება იქმნება 10 საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღე შუა-დღის შემდეგ 5 საათამდე.

გაზეთ „მშაკ“-ის რედაქცია ამით აცხადებს, რომ განსვენებულის **გრიგოლ არწრუნის** დასაფლავება დანიშნულია კვირას, 27 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველ დღეა, საღამოს 6 საათზედ. გარდაცვალებულის გამოსვენება ვანქის ტაძარში რედაქციის სადგურიდგან მოხდება 26 დეკემბერს, დილის 10 საათზედ. დასაფლავება ხოჯივანქის სასაფლაოზედ.

**მარიამ სოლომონის ასული დეკანოზიშვილისა შვილებითურთ და ილია, დავით და ალექსი ნიკოლოზის ძენი დეკანოზიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა, პირველი—საყვარელისა ქმრისა ხოლო დანარჩენნი—ძმისა თვისისა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ნადვორნი სოვეტნიკის **თადეოზ ნიკოლოზის ძის დეკანოზიშვილისასა** და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ პანაშვიდზედ 25 დეკემბერს საღამოს 6 საათზედ, ხოლო გარდაცვალებულის გამოსასვენებლად 26 დეკემბერს დილის 9 საათზედ, ჯირკველოვის სახლიდგან № 3, მეორე ნაგორნის ქუჩა კალოუბნის ეკკლესიაში. (1—1)

იანვრის 6-სს 1893 წ.
ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართულ იქნება

# ბ ა ლ ი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.
ფასი ბილეთისა 2 მან. და 10 კაპ.
ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოუჭრელ კაბებითაც დაესწრნენ.
ბალი საღამოს 9 საათზედ დაიწყება
ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

ქართული თეატრი

წარმოდგენა, დანიშნული შაბათისათვის, 26 დეკემბერს,

**ივანე კერესელიძის**
დასაფლავების გამო,
გ ა დ ი ი დ ვ ა.
ადმინისტრატორი ვ. გუნია

## სათავად - აზნაურო სკოლის შესახებ

(კერძო კრება კომიტეტისა და მცოდნე კაცთა)

გუშინ - წინ, 23 დეკემბერს, საღამოს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში იყო კრება „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების კომიტეტისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. კომიტეტმა კრებაზე მოიწვია მცოდნე და გამოცდილნი კაცნი და რჩევა ჰკითხა იმის შესახებ, თუ რა ტიპის სკოლა უფრო საჭიროა და შესაფერი ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისათვისაო. საკუთრად ორი საგანი იყო კრებაზედ განსჯილი და განხილული: 1) მცირეა თუ არა რიცხვი ქართველ მოსწავლეთა ტფილისის სასწავლებლებში და, თუ მცირეა, რა არის მიზეზი ამ გარემოებისა, და 2) რა ტიპისა და ხასიათის სკოლა უფრო საჭიროა ჩვენთვის, იმ ტიპისა და ხასიათისა, რომელიც უკვე არსებობს, სათავად-აზნაურო სკოლის სახელით, თუ სხვა ტიპისა და ხასიათისა. ლაპარაკსა და კამათობაში საკმაოდ ბევრმა მიიღო მონაწილეობა და გამოირკვა ორ-გვარი აზრი: ერთნი ამბობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ სასურველია ჩვენთვის საზოგადო განათლების შესაძენი სკოლა, რომელსაც თან მოსამზადებელი ხასიათიცა ჰქონდეს, სკოლა საკლასიკო გიმნაზიების ტიპისა და მიმართულებისაო; ხოლო მეორენი არ უარ-ჰყოფდნენ ამისთანა სკოლის სარგებლობას, მაგრამ თან იმის სურვილსაც აცხადებდნენ, რომ დღევანდელს ჩვენს ყოფაში ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნება, ჩვენის მცირე ღონისძიებით ისეთი სკოლა ვიქონიოთ, საპროფესიონალო ხასიათისა და მიმართულებისა, რომელიც შევძენს ცოდნას ლუკმა-პურის მოპოვებისას და მოგვცემს ღონეს თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებისას ჩვენს მამულ-დედულზედაო. კამათი ამ საგანთა შორის ტრიალებდა და ყოველივე საბუთი იქმნა წარმოთქმული და განსჯილ-განკითხული, როგორც ერთისა, ისე მეორე აზრის მომხრეთა მიერ. საკლასიკო სწავლა-განათლების სისტემის მომხრენი ამბობდნენ, სხვათა შორის, რომ რუსეთის სახელმწიფოში სწორედ კლასიკურ სასწავლებელთა ტიპია გაბატონებული და იმას აქვს მინიჭებული მეტი უფლებანი და უპირატესობანიო. ეს უნდა კარგად გვახსოვდეს და ამას უნდა შევუფეროთ ჩვენის შვილების აღზრდა-განათლების საქმეცაო. ჩვენთვის საჭირონი არიან უმაღლეს სწავლა-დამთავრებულნი, კარგი მოხელენი, კარგი იურისტები, კარგი მკურნალნი, კარგი ინტელიგენტები, კარგნი კაცნი და ამას მოგვცემს მხოლოდ საზოგადო-განათლების სკოლა და არა სპეციალ მიმართულების სასწავლებელიო. მეორენი ამტკიცებდნენ, არა, ეგ იქნება ყოველივე კარგია, მაგრამ ჩვენთვის, როგორც ხვნა-თესვისა, მეურნეობის მიმდევარ ერისათვის, თუ გვინდა შევირჩინოთ ჩვენი ქართველობა, ჩვენი განსაკუთრებულნი თვისებანი, ქონებრივი დამოუკიდებლობა, აღარ უნდა გავიხადოთ საქმე სხვის საჯეხწურად, სხვის ხელში შემაყურებლადაო. სამსახურით, მოხელეობით კაცი ვერ გაკეთდება, თუ დიდს ადგილს არ მიაღწია, ჯამაგირის ანაბრად დარჩენილი სხვის ხელში შემაცქერალია, სხვის ნება-სურვილის ამსრულებელიაო. ამას გარდა, კლასიკური წესი და რიგი სწავლა-განათლების შეძენისა, როგორც გამორკვეულია მცოდნე კაცთაგან, ყმაწვილს ასახიჩრებს კიდეც ჯანითაცა, სულითაცა და გონებითაცაო. ერთის სიტყვით, კამათობა და ლაპარაკი დიდი იყო, საბუთიანი, გულ-დამჯდარი. ორატორთ ცხადად ეტყობოდათ, რომ დიდად პასუხ-საგებელი და მძიმე საქმე აქვთ გასათვალისწინებელი და გადასაწყვეტი. უმეტესობამ ურჩია კომიტეტს, რომ სათავად-აზნაურო სკოლას შერჩეს დღევანდელი თვისი ხასიათი,—ერთის მხრით მოსამზადებელის სასწავლებლისა და მეორეს მხრით—კლასიკურ გიმნაზიად დასრულებისა და მისის სახე-თვისების მიღებისა. ურჩია უმრავლესობამ ეს კომიტეტს და თან ისიცა სთხოვა, რომ ვრცელი განაჩენი დღევანდელის ჩვენის ლაპარაკისა საზოგადო კრებას წარუდგინეთ მაისში და, როგორც ის დაინახავს საჭიროდ, ისე გადასწყვეტს ამ მძიმე საქმესაო. სჯა-ბაასში დიდი ხანი გავიდა და თითქმის ნაშუაღამევის ორი საათი იყო, როცა კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ლ. ა. მაღალაშვილმა კრება დაითხოვა.

## ახალი ამბავი

*** ბუხარას ემირმა სეიდ-აბდულ-ახად-ხანმა ტფილისში ბევრს დიდ-ძალი საჩუქრები დაურიგა. კავკასიის მთავარ მართებელს ემირმა უფეშქეშა ბუხარას ვარსკვლავი, ბრილიანტებით შემკული, ხალები და სხვა ნივთები. ოქროს ვარსკვლავები უფეშქაშა: ტფილისის გუბერნატორს თ. გ. დ. შერვაშიძეს, კლასიკურ პირველ გიმნაზიის დირექტორს ლ. ლ. მასკოვს, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს გერენალ-ლეიტენანტს პ. ტ. პერლიკს, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟინერს ა. ფრიდეს, იმავე რკინის გზის მოხელეს ა. გრევეს, ინჟენერს ბალიუკევიჩს და კადეტთა კორპუსის უფროსს გერენალ-მაიორ ოსტროგორსკის.

*** ოთხშაბათს, ამ თთვის 23, ბ-ნ გუბერნატორის თავმჯდომარეობით, საგუბერნიო საკრებულოს სამოქალაქო განყოფილების კრება მოხდა, ახალის სამოქალაქო დებულების თანახმად შემდგარის წესით. კრებამ განიხილა ერთი საგულისხმიერო საგანი შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა შემოვიღოთ საგუბერნიო ქალაქებში უმაღლესად ახლად დამტკიცებული საქალაქო დებულებაო.

ამ კრების გადაწყვეტილობით ჩვენის ქალაქის ყველა წარმომადგენელნი: ხმოსნები, ქალაქის მოურავი, საბჭოს მდივანი და გამგეობის წევრნი, არა უგვიანეს მომავალის მაისს 15 ხელ-ახლად უნდა იყვნენ არჩეულნი. ქალაქის გამგეობას დაავალეს, რომ ამომრჩეველთა სია თებერვლის გასვლამდე მზად უნდა იქმნასო.

*** ქართულ თეატრის დაფუძნების დღესასწაულისათვის ბ-ნ პეტ. უმიკაშვილს დაუწერა ერთ-მოქმედებიანი პიესა „სამზადისი“, იმ გვარი, რომელსაც საფრანგეთში Revue-ს უწოდებენ. პიესა უკვე წარედგინა სათეატრო ცენზურას ნება დასართველად. მასში გამოსახულნი არიან პირველ ქართულ წარმოდგენაში მონაწილენი, რომელთაც რეპეტიცია აქვთ, ბაასობენ, ხუმრობენ, ზოგი შიშობს, ზოგი მხნეობს. მოქმედთა შორის არიან იმ დროის ცნობილნი მოღვაწენი, მწერალნი, სხვათა შორის: თ. ვარანცოვი, გიორგა ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ორბელიანი და სხვანი. ამათ გარდა არიან ისეთნიც, რომელთაც დღესაც ჩვენთან ვხედავთ: კნეინა ქეთევან ორბელიანისა, კნეინა ანასტია გაგარინისა, თ. რაფაელ ერისთავი და გრიგოლ შანშიევი. პიესის მოქმედთა, რასაკვირველია, თავ-თავიანთ შესაფერის სახით (გრიმით) და ჩაცმით დაგვანახვებენ ჩვენი არტისტები. ავტორს დაწერამდე მაშინდელ ამბვის დამსწრეთათვის გამოუკითხავს ყოველივე გარემოება და ჩაურთავს პიესაში. კნეინა ქეთევან ორბელიანი, რომელიც გამძღოლი ყოფილა რეპეტიციების დროს, თუმცა 85 წლისა ბძანდება, საკვირველის მეხსიერებით განთქმულია დღევანდლამდე და დიდი მასალა მიუცია ამ პიესისათვის. აგრეთვე გრიგოლ შანშიევსაც ბლომად უცნობებია მაშინდელი ამბები. ყოველივე ეს მასალა, ავტორის ფანტაზიით დამატებული, ვგონებთ, უნდა წარმოგვიდგენდეს ნამდვილ სურათს მზადებისას იმ მოღვაწეთა, რომელთაც აღტაცებით, სიხარულით და სიყვარულით საძირკველი ჩაუდგეს ჩვენს თეატრსა.

*** ოთხშაბათს, ამ თთვის 23-ს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, კრება ჰქონდა ტფილისის სასწავლებელთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტს.

კრებამ მოისმინა ქალაქის სასწავლებელთა თხოვნა, ფულად შემწეობა მოგვეცითო. კომიტეტმა შემდეგ სასწავლებლების მოსწავლეთ მისცა შემწეობა: მთა-წმიდის ქართულ განყოფილების საქალაქო სასწავლებელს—34 მანეთი, ხარფუხის სომეხთა განყოფილების სასწავლებელს—33 მანეთი, ავლაბრის რუსულ განყოფილების სასწავლებელს—8 მანეთი და სახელოსნო სასწავლებელს—32 მანეთი.

ამას გარდა კომიტეტმა სამერმისოდ დაადგინა, რომ, სანამ რომელსამე თხოვნას დავაკმაყოფილებდეთ, ჯერ მოსწავლეს შინაური მდგომარეობა გამოვიკვლიოთ და მერე გავიღოთ ფულად შემწეობაო. ასეთი დადგენილობა გამოიწვია იმ მოსაზრებამ, რომ მოსწავლეს გაჭირვება აქამომდე უფრო თხოვნაში გამოცხადებულის მიხედვით აღინიშნებოდა და ამის კვალად სჯიდნენ საქმეს. კომიტეტმა ამას ისიც დაურთო, რომ თავის წევრთა შემწეობით ადგილობრივ გამოიკვლევს მოსწავლეს მდგომარეობას, და მერე მისცემს შემწეობას. ამისათვის კომიტეტის წევრებმა გაანაწილეს თავიანთ შორის ქალაქის უბნები და, როცა ამ უბნებში მცხოვრებ მოსწავლეთაგან მოუვა კომიტეტს თხოვნა, წევრებმა უნდა განიხილონ. გაინაწილებენ ერთმანერთ შორის ესე: თავ. პ. მ. არღუთინსკის 1-ლი და მე-2 უბნები, ნ. ე. ხარკოვს—მე-5 და მე-6, ი. ნ. მარკოზოვს—მე-3, მე-4 და მე-7 და ა. ს. ღულაძეს—მე-8, მე-9 და მე-10 უბნები.

კომიტეტის თავსმჯდომარემ კ. მ. ალიხანოვმა იკისრა შრომა, უშოვოს ადგილი სადმე ქარხანაში სახელოსნო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულს სერგო სარუხანბეგოვს, რომელმაც თხოვნით მიჰმართა კომიტეტს, სადმე სამსახური მიშოვეთო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზით მიმოსვლა გაცილებით ძვირადა ჯდება, ვიდრე რუსეთისა, ან ევროპის რკინის გზებით. ამიტომ ამას წინად

უმაღლესმა მთავრობამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და ახლა გარდაუწყვეტია მომავალ წლის პირველ იანვრიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზით მოგზაურობის ფასის შემცირება: ამ დღეებში მოელიან პეტერბურგიდან ახალ ბილეთებს სხვა-და-სხვა სადგურებში დასარიგებლად.

*** 22 დეკემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო-საადგილ-მამულო ბანკის ზედამგედველ კამიტეტს კრება ჰქონდა. კრებამ გადასწყვიტა: იმ პროექტის და თხოვნის შესადგენად, რომლითაც თავად-აზნაურობამ უნდა სთხოვოს მთავრობას ახლად განხილვა და შეცვლა 1891 წელს 3 ივნისს დამტკიცებულა ხიზანთა დებულებისა, 1,000 მანათი გადასდოსო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას ბძანება მოსვლია მთავრობისაგან, მოახდინეთ სატეხნიკო გამოკვლევა, კახეთის რკინის გზა სად და როგორ უნდა გაყვანილ იქმნასო.

*** სახელმწიფო რკინის გზათა მმართველობამ მოსთხოვა ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს, იმ მოხელეთა სია გამოგვიგზავნეთ, ვინც ხოლერობის დროს შრომობდა ხოლერის მოსასპობადაო. ეს სია უკვე შედგენილია და ამ დღეებში პეტერბურგს გაჰგზავნიან დასამტკიცებლად.

*** ჩვენ მივიღეთ დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილისაგან 25 მანათი კონსტანტინე ლავრენტის-ძის არდაზიანისაგნ 1 მანათი, ალექსანდრე ჰყონიასაგან 3 მ. „არძაგანკის“ რედაქტორისაგან ბ-ნ აბგარ იოანისიანისაგან 20 მ. და ორ უცნობთაგან 10 მ. სულ 59 მანათი, განსვენებულის ივანე კერესელიძეს სახლობისათვის გარდასაცემად.

*** როგორც შევიტყეთ, 2 იანვარის ქართულ წარმოდგენაზედ დასასწრებლად საზოგადოებას ეხლავე გამოუჩენია ხალისი და ბილეთებს თურმე გუშინვე თხოულობდნენ კასაში.

*** ოფიციალურ ცნობით, 8-15 დეკემბერს ტფილისში კვლავ ავად გახდა ყვავილით 2 და ხუნაგით 4, იმავე დროს განმავლობაში ყვავილით გარდაიცვალა 1.

*** ფოთი: როგორც ისმის, აქ უკვე გადაწყვეტილი აქვთ ხმოსნებს, რომ ჩვენის ქალაქის მოურავად აირჩიონ ბ-ნი ნიკოლოოზ იაკობის ძე ნიკოლაძე. ხმოსანთა უმრავლესობას მოუწერია კიდეც ხელი იმ ბარათზედ, რომლითაც უნდა სთხოვონ ბ-ნს ნიკოლაძეს, იტვირთოს კანდიდატობა და კენჭი იყაროს.

*** ამ თთვის 23-ს ანტონ ნატროშვილმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ პოლიციის მეოთხე ნაწილში სახლის აივანზედ ზანდუკი გამიტეხეს და 40 მან. ნივთეული მომპარესო. პატრონმა ეჭვი გამოაცხადა დიდ-ჯიხაიშის მცხოვრებელს ივანე კაჭაბიძესა, სოფ. ჭალას მცხოვრებელს დავით ალაბეგიშვილსა და ტფილისის მცხოვრებელს გიგო გელაძეზე. პოლიციამ ზემოდ დასახელებულნი შეიპყრო ნატროშვილისავე სახლის მახლობლად გამოქვაბულში. ამ გამოქვაბულში იპოვნეს ნატროშვილისაგან წაღებული შეშა.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი).

მართლა-და, ძაან ჭკვიან კაცი ყოფილა ე ნიკოლაძე! სულ უბრალო საქმეა ხომა დხ, აბა, თუ ამოდენა თავად-აზნაურთა კრებაში ერთმა მოიფიქრა რკინის გზის გაყვანა გვინდა და ჯიბეში კი... შევიყრებოდით, ბატონო, ამოდენა ხალხი საბჭოდ და ჰაი აქედ, ჰაი იქით, ვიყავით ერთ ჭაპან-წყვეტაში, ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობდით! სულ ხვითქი გადაგვდიოდა, იმოდენას ვლაპარაკობდით. ნიკოლაძემ-კი რკინის გზისთვის ხომ რაღა და რაღა, სხვა სალსარიც აღმოაჩინა... ერთის კალმის მოსმით! აფსუსია, რომ თავადიშვილი არ არის. ნეტა მე მაინც ვურიგებდე თავადობას!

როცა პირველად მითხრეს, მაშინ-კი, ღვთის წინაშე, ვიწყინე! ძაან ვიწყინე, მამაჩემი ბარძიმი არ წამიწყდება! ვეო, ეს ხომ ჩვენი შეურაცხყოფა არის-მეთქი! ამოდენა კეთილშობილთ ვერა მოვახერხეთ-რა და იმან-კი, ასე უცბად თვალი აგვიხილა-მეთქი! მერე-კი, რომ ჩავფიქრდი, საქმე სულ სხვაფრივ გამოვიდა: ნიკოლაძეს თურმე გროშიც არა ჰქონია ბანკში შესატანი. ჩვენ-კი... განა მე?!. სულ ყველას... ძაან ცუდ დროს დაიწყეს რკინის გზის ბაასი და ლაპარაკი! დალოცვილი შვილები, დღეს ხვალ ტორგი, და ესენი-კი იძახიან—იფიქრეთ, იქნება სალსარი იპოვოთ რამეო! რაღას მოვიფიქრებდი ერთი, თქვენგან არ მიკვირს! ვინც-კი საბჭოდ მოსული ვნახე, ყველა ფულიანი მეგონა—ახლა-კი მიშველა ღმერთმა, ფულს ვესესხები-მეთქი... სალაპარაკოდ წამოდგებოდა ვინმე და მე სულ იმას ვკითხულობდი—ფულიანია, თუ არა-მეთქი? აბა საქმე ტორგის შემდეგ ყოფილიყო, მე ვიცოდი, რა ლაპარაკსაც დავიწყებდი. ჰეეი; დალახვრა ღმერთმა, და განა ჩვენ-კი ვერას მოვიფიქრებდით?!.

ძაან აზრი-კი არის აი! მაგრამ საწყენიც-კია, ღვთის წინაშე! არა, თავად-აზნაურობამ ფული გაიღოს, სასარგებლო და საზოგადო საქმისთვის ხარჯი შეიწეროს და დღიურზედ ორი შაური!? ვინა ვგონივართ ბ-ნ ნიკოლაძეს? თუკი კულასთვის ათ თუმნიანები არა გვშურდა, თუკი მედუდუკეებისათვის სულ წითელ-წითელი გადადის ხოლმე, თუ-კი პურ-ღვინოში... საერთო საქმისათვის დავიშურებდით?! მაგრამ ეტყობა ნიკოლაძეს ჩვენი ცნობა არა ჰქონია, თორემ ასე როგორ დაგვამცირებდა!? საერთო საქმეში ყაირათი და ხელის მოჭერა, ორშაურობით გაღება, სხვაგან მოიკითხეთ, სხვაგან და არა ქართველ თავად-აზნაურობაში, დიაღ, სხვაგან, სხვაგან!

ვინ შერცხვენილი დაზოგავს რასმე, ვინ თავ-ლაფ-დასხმული დაიშურებს რასმე, ოღონდ საქმე გაკეთდეს! მაშ სულ დავცემულვართ, მთლად დავღუპულვართ, თუ-კი ამისთანა საქმესაც ვერ ვიკისრებთ! მაგას-კი არა, ვინ თავმკვდარი ათს მაგოდენას არ იკისრებს! დღიურზედ ორ მანეთს, სამს, ოთხს! სულ ყველანი ვიკისრებთ, ბატონო, ვიკისრებთ! თუ-კი ამოდენა ხანი შევუძელით და თავი გავიტანეთ, ახლა რაღა ღმერთი გაგვიწყრება! თუ-კი სათავად-აზნაურო გიმნაზიის დასაარსებლად ვიკისრეთ იმოდენა ფულის გაღება—მე ხომ სულ პირველ კატეგორიაში ვიყავ, ბატონო, და, მგონი, ორმოც-და-ათი თუმანი შემომაწერეს, სწორედ აღარ მახსოვს. არა, თუ-კი ამოდენა ფულის გადახდა ვიკისრე, დღიურზედ სამი მანეთი გამიჭირდება! სულ დავგირავდებით, სულ თავით ხორცამდე გავიყიდებით და რკინის გზას-კი... დღიურზედ ოთხი იყოს, თუნდა ხუთი! სათავად-აზნაურო გიმნაზიებიც დავაარსოთ, ქალებსაც გიმნაზია გავუმართოთ, აკადემიებიც, უნივერსიტეტიც, ობსერვატორიაც, კონსერვატორიაც, სათეატრო სკოლებიც და, რა ვიცი, კიდევ რაები! დღიურზედ ხუთი მანეთი! არ ეყოფა თუ! ვინც არ იკისროს?!.

**

მაშინ უყურეთ, რა ამბები იქნება და! რა მეცნიერება დატრიალდება, რა ცოდნა და განათლება—სულ-კი ჩვენგან გაღებულ ფულით. რა თეატრი გვექნება! ახლა-კი ერთი კამიტეტი გვყავს და ისიც ლამის შურით და საყვედურით დავახრჩოთ... ახალ პიესებს არა კითხულობენო! ვეო, ლანძღვას რა თაბაუთი აქვს? რომ ილანძღები, საქმეს-კი არ გაიგებ?!. არა, დრო და ღონისძიება-კი აქვთ, რომ წაიკითხონ? დილით სამსახური, მერე სადილი; სადილს შემდეგ პატარა თვალს მოატყუებენ, სულ ცოტა ხანს, რვის ნახევრამდე. გაიღვიძებენ, ბატონო, და არიქა, დავგვიანდით; ჩაისაც ვეღარ მიირთმევენ, გარბიან დრამატიულ ხელოვნების ტაძარში. ეს ენგლუნდიო, ეს სტრეპეტოვაო, ეს ტომსონიო, ეს კიდევ ზანოლლიო! ვინ მოსთვლის? თქვენ-კი გაიძახით, არას გვირიგებენო! არა, იქნება იმიტომ ამოარჩიეთ, რომ საქმე ეკეთებინათ! ვაი, გამიწყრა ღმერთი! რა საქმე, რის საქმე! სად გინახავთ, სად გაგიგონიათ?!. მე იმიტომ ამოვირჩიე, რომ ყველას მათგანს თავში, სულ მცირე რომა ვთქვათ, ერთი სამოც-ოთხმოცი დრამა მაინცა აქვს მზად. რა ვუყოთ, რომ არა სწერენ?!. წერაცა და სხვა საქმეც ჩვენს გუნიას მიანდეს და ისა სწერს! საქმე კარგად იყოს, თორემ ერთი კაცი იმუშავებს, თუ შვიდი, სულ ერთი არ არის? თუ-კი ის ერთი შვიდივეს უდრის! აი დალახვრა ღმერთმა! ეს ხომ სულ უბრალო საქმეა და ადვილი გასაგები, და მაინც რამდენს მალაპარაკებენ!

მერე დიდს ჯამაგირს მაინც აძლევდნენ იმ საწყლებს? საყვედური დიდი ვიცით და შრომის დაჯილდოვება-კი ჭირივით გვეზარება.

იქნება რეჟისორს დააყვედროთ რამე? ან იმან რა ქნას, დრო და მოცალეობა რომ აღარა აქვს. სამსახურს უმტყუნოს, საერთო საქმეა, და თეატრს უმტყუნოს,—კიდევ საერთოა, იქაც არის და აქაც. ან არა და ვის ამოირჩევდით? გყავდათ-კი ვინმე სხვა? რომ არა! აბა ამორჩეულებს სხვის იმედი ჰქონოდათ—საქმეს ჩვენებრ ისინიც წაიყვანენო—მაშინვე უარს იტყოდნენ—დრო და ღონისძიება არა გვაქვს, ვერას გაგირიგებთო. მაგრამ რომ არავინ არის! სულ ცოტა რომ ვთქვათ, საწყლები ერთ ათ საზოგადოებაში მაინც ირიცხებიან კამიტეტის წევრებად; იქნება იქაც არაფერს აკეთებენ, მაგრამ საყვედურს-კი არავინ ეუბნება. ჩვენა ვართ, ჩვენ, ასეთი გაუტანლები, უმადურები და შურით სავსენი!

სულ-კი ვიღაც ავტორების ბრალია ეს აყალ-მაყალი. ორ ღამეში გამოაცხობს ვიღაცა რეგვენი რაღაცა დრამას და მაშინვე კამიტეტს უგზავნის—წაიკითხეო! იმასაც მოსწყინდა, ბატონო! ასე ჰგონიათ, კამიტეტი იმიტომ არის—ჩემი ნაჯღაბნით თავი შეიწყინოსო! ეგ არის, დიაღ, სხვა საქმე აღარა ჰქონიათ-რა! რომელი ერთი წაიკითხოს?!. ის უფრო ადვილი არ არის, ცენზორს წარუდგინოს, როლები გადააწერინოს, დაასწავლოს არტისტებს და იმათ ითამაშონ! ნათამაშევი უფრო უკეთ არ გამოჩნდება?!. ან არა და, ვის რა სჯერა კამიტეტისა? მოიწონებს რასმე, ჩვენა ვწუნობთ და დაიწუნებს, ჩვენ ტაშს ვუკრავთ! ჩვენ-კი ჩავციებივართ, წაიკითხე, დააფასეო! ალ-

# ფელეტონი

### ქართველთა შორის

ღმერთო, შენითა!—მართებულება.—ეხლაა ძნელი.

მღერთო, შენითა! ერთი დიდი საქმე კიდევ ემატება ჩვენს მდოვრ-მოდებულ ცხოვრებას. ობლის მამა ღმერთიაო, ტყუილად-კი არ ამბობენ. ზოგჯერ ამ საგრძნობელ სიტყვებთან ქართველი კაცი იტყვის ხოლმე კიდევ: ობლის კვერი ცხვა, ცხვა და, როგორც იყო, გამოცხვაო. დაობლებულ ქართველის მამაც ღმერთია. ჩვენი კვერიც, იმედია, ნელ-ნელა გამოცხვება, თუ ყოველი ჩვენი ცნობიერი თანამემამულე არ დაიშურებს ქვეყნის საქმეში ჩარევას, არ მოაკლებს თავის თანაგრძნობას, ცოტაოდენს მხნეობას და გარჯას. ოცს ამ თთვეს, როგორც უკვე შეიტყობდა ჩვენი მკითხველი, ქართველმა თავად-აზნაურობამ თითქმის ერთხმად გამოაცხადა სურვილი თავს იდვას კახეთის რკინის გზის გაყვანა. ეს იყო, სხვათა შორის, ჩვენი უგულითადესი სანატრელიც. სადაც განცალკევებით თავს ვერ გავიტანთ და განმარტოვებულის ღონით ვერ შევეჭიდებით საქმეს, იქ ვიხმაროთ ძველებური კეთილგონიერება, მივცეთ ერთმანეთს მხარი და ურთიერთის ხალისით, დახმარებით, შეერთებულის ძალით გავიმაგროთ ზურგი და ვცადოთ მაინც ჩვენი თავი, უკან მაინც ნუ დავიწევთ. დეე, ყველამ შეიტყოს და გაიგოს, რომ ქართველი კაცი ჯერ ისევა ქართველობს გულით მაინც, არ ეშინიან საქმისა, აქვს ხალისი და შნო მხნეობისა, გარჯისა, მოქმედებისა. ესეც დიდი ნუგეშია. თუ გული კვლავინდებური შევინახეთ და ზემოდამაც მოვაყარეთ ცოტაოდენი პილპილი ხერხიანობისა, შორს-გამჭვრეტელობისა, მაშინ კიდევ არა გვიშავს-რა, იმედი მაინც შეგვრჩება, რომ დღეს არა—ხვალ მიძინებული არწივი კვლავ გაჰშლის ფრთასა და კვლავ კავკასიონის ქედს დაამშვენებს თავისის ცნობიერის და ვაჟკაცურის ცხოვრებით, კვლავ აღადგენს სახელს, რომლითად ასე სამართლიანადა ქადულობდნენ ჩვენი ღვაწლით შემოსილი მამა-პაპები.

ბევრჯელ მითქვამს და კიდევაც გავიმეორებ, რომ ჩვენს ყოფაში, როდესაც ასე მოკლებულნი და დაშორებულნი ვართ საზოგადო, სამოქალაქო, საქვეყნო საქმეებს, ამისთანა დროს მთელი ჩვენი მეცადინეობა ის უნდა იყოს, რომ, საიდგანაც იქნება, უეჭველად გავიჩინოთ საერთო სურვილი, საზოგადო სატრფიალო საგანი, რომელმაც უნდა შეგვკრას და შეგვბოჭოს ყველანი ერთის აზრით, ერთის გრძნობით, ერთის მისწრაფებით. როდესაც ერს მოაკლდება ასეთი მჭიდროდ დამაკავშირებელი საგანი, ასეთი საზოგადო საქმე, მაშინ იგი განსაცდელშია ჩავარდნილი, თვით მისი ცხოვრება, მისი მერმისი ერთს ბეწვზედ-ღა ჰკიდია—გაწყდა ბეწვი, და ერმაც დაჰკარგა თავისი ფერი, თავისი აზრი არსებობისა, დაჰკარგა თავისი წმინდა-წმინდათა, მიეცა შეუბრალებელს ტალღებს ცხოვრებისას და დალია თვისნი დღენი. მანამ ხალხი არ იპოვნის დამაკავშირებელ საერთო საქმეს, მანამდე იგი ამისთანა განსაცდელს ვერსად ვერ წაუვა, მანამდე იგი თავის არსებაში ატარებს დვრიტას თავისსავე დაღუპვისას. ყოველი წევრი ასეთის საზოგადოებისა ჰფიქრობს მხოლოდ საკუთარს კეთილ დღეობას და ცდილობს დათრგუნოს კეთილდღეობა თავისის მოყვასისა, მეზობლისა, ძმისა და მამისა, ერთის სიტყვით, ყველასი, ვისთანაც-კი ხელი და ჭორიკანა ენა მიუწვდება. ამ ყოფაში გაწყვეტილია საქვეყნო და საზოგადობრივი კავშირი. იპოვნეთ ისეთი საქმე, რომელსაც შეეძლოს აღდგენა ამ საზოგადობრივის კავშირისა, და ხალხი ფენიქსებრ აღდგება და აღორძინდება, გაძლიერდება და სპეტაკ ნათელნს მოჰფენს თავის საკუთარ სიცოცხლესაცა და სხვებისასაც. ასეთი ძალა აქვს დამაკავშირებელს საქმეს.

**

მაგრამ მარტო იმით არ იყო საგულისხმიერო ოც დეკემბრის კრება, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ თავითავს მოიყარა მივარდნილ კახეთის და ქართლის კუთხეებიდგანაც-კი, აიღო ერთმანეთის პირი, გულის წადილი, და შეერთებულის გონიერებით გადასწყვიტა საშვილიშვილო საქვეყნო საქმე—გაყვანა კახეთში რკინის გზისა. მეორე კაი მხარეცა ჰქონდა ამ ჩინებულ კრებას. იგი იყო მართლა ჩინებული მარტო განსახილველ საგნით-კი არა, არამედ გარეგანის მხრითაც, წესითაც და რიგითაც. წაზმოიდგინეთ, მთელი ხუთი საათი გასტანა კრებამ, ასზე მეტი კაცი დაესწრო, და ამოდენა კრებაში თითქმის ერთი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც ჰგონებოდა, ვითომ ადამიანისთვის ღმერთს იმიტომ მიუცია ენა და მეტყველება, რომ ამ ენით სიცოცხლე ჩაუმწაროს მთელს ყრილობას, ერთი ჭკვიანური არა ათქმევინოსრა და არახუნოს ამ მთისა, იმ კლდისა, აბდა-უბდა-გადასკუპდა, რომლისაც არც თითონ ესმის რამ, არც სხვას, და რომლის გაგება თვით ორატორს მიაჩნია ნამეტან ბარგად. ჰო, აკი მოგახსენეთ, რომ იმოდენა კრებაში თითქმის ერთი არ გამოდგა ასეთის უცნაურის შეხედულობისა ენის დანიშნულების შესახებ, თუმცა-კი, მართალი უნდა მოგახსენოთ, არა ერთი და ორი იყო ისეთი ორატორი, რომელიც სწორედ ასეთის აზრისაა ენის შესახებ, ძრიელ ხშირადაც დაუმტკიცებია ამ გვარი თავისი აზრი და ბევრჯელ შეუყელთებია კრება, თავი მოუბეზრებია მისთვის.

აკი მოგახსენეთ, თუმცა ასეთი უცნაური ორატორები კარგა ბლომად დაესწრო კრებას, მაგრამ ლაპარაკი-

ბად წაკითხვით დაფასება არ შეიძლება, რომ ჯერ ათამაშებენ პიესას და მერე თავის აზრს იტყვიან ხოლმე. ასე რომ არ იყოს,—მაგრამ იმათ უფრო არ იციან! დეე ითამაშონ-რა. გამოიჭიმება კომიტეტი ლოჟაში და დაფასებას მაშინ უყურეთ?

არაფერს აკეთებენო! არა, მეტი რა გნებავთ, წელს ორჯერ შეყრილან სალაპარაკოდ. ერთხელ შეიყარნენ, ბატონო.

ბევრი სთქვეს... ილაპარაკეს,
ოფლი სდით—ნიაღვარია,

და დაადგინეს: კომისია ღმერთს იმისთვის დაუწესებია, რომ ყოველი ძნელი საქმე იმას მივანდოთო. პუ—ს კიდეც მიანდეს. თითქო არ გვეგემოს ეს რაღაც კამისიები არის; კამისია ნიშნავს სრულს დავიწყებას თავის მოვალეობისას, სხვას ხომ არაფერს? იქნება აღარ გახსოვდეთ? დიაღ! მეორედ შეიყარნენ—პიესების წაკითხვა მოვაგვაროთ როგორმეო და გადაწყვიტეს—კამისია ამოვირჩიოთო, ოღონდ იმ პირობით, რომ არ დაივიწყოს თავის საქმეო. ამოირჩიეს. შეიყარნენ წევრნი კამისიისანი და სთქვეს: ვეჟო, რომ დაგვავიწყდესო?! მერეო?! მოდი ერთს მივანდოთო! აქაც

ბევრი სთქვეს... ილაპარაკეს,
მთლად გადაძებნეს დუნია;
ბოლოს ერთი-ღა იპოვნეს—
ჩვენი ვალიკო გუნია.

აიღეს და იმას მიანდეს ყველაფერი. ჩვენა, ჩემო ვალიკო, მარტო ის გვინდოდა, რომ დრამატიულ კომიტეტის და კამისიის წევრის დიდებით სავსე სახელი გერქმევოდა, თორემ ჩვენ სად შეგვიძლიან, არც დრო მოგვდევს და არც ღონისძიებაო! ახლა შენ იცი და შენმა მხნეობამაო: პიესებიცა სწერე, პიესებიცა სთარგმნე, პიესებიც წაიკითხე, კიდეც ითამაშე, კიდეც ათამაშე, ყველა შენ ითავეო, სადაც შენა ხარ, ჩვენ რის მაქნისი ვართო?! ნურც კალენდარს უმტყუნებ, ნურც „უბის წიგნსა", ნურც „მიწერ-მოწერასაო", ნურც უცხო ქვეყნით მოსულ ნიჭიერთა ნახვასაო და ნურც სამსახურსაო; თანაც პირობა ჩამოართვეს—კვირაში ერთი დრამა მზადა გქონდესო!

ახლა რა? წახდა საქმე თუ? აბა, როდისა გვქონია ამოდენა ახალი პიესები? როდის გვსმენია ასეთი განსპეტაკებული ქართული ჩვენის სცენიდგან? როდის დაუძახნია სცენაზედ ერთს თავადიშვილს მეორესთვის: მამა გიცხონდაო! როდის უთხოვნიათ ერთმანეთისთვის: გენაცვა, შენი ცოლი მე დამითმეო?! იქნება ეს ხელოვნების წარმატებად არ მიგაჩნდეთ? თქვენ-კი იძახით!...

ჰეეი, სამსახური არ უშლიდეს!.. ეხლა ხომ ერთ დრამას სამ ღამეს ანდომებს, მაშინ სამ ღამეში სამს დაგიწერთ, სულ ჩვენი ცხოვრების შესახებ, სულ ისტორიულს! ირაკლისაც გამოიყვანს, სოლომონ მსაჯულსაც... რა ვუყოთ რომ მასხარებად გეჩვენებათ ეს ყველა ქართველისათვის წმინდა კაცნი ჩვენის წარსულის ცხოვრებისანი? ხალხს-კი მიიზიდავს და! ბილეთებს-კი გაასაღებს და! არას აკეთებენო!.. ხვალ საღამოს კიდევ მესამედ უნდა შეიყარნენ, რა ამბავი ექნებათ?! როგორ დასძახებენ:

ჩვენ ვართ და ჩვენი გუნია
ბურჯნი ხელოვნებისაო...

შეიყრებიან და გადასწყვეტენ: როგორ მოხერხდეს, რომ ჩვენს ვალიკოს სეზონის დროს შეეძლოს, სამსახურში არ იაროს და ჯამაგირი-კი იღოს? აბა, მაშინა ნახავთ ახალ დრამებს, აი! სულ დომხალივით აურევს ირაკლის, მთა-წმიდის დიაკვანს, თამარს, დავით აღმაშენებელს, ჟორჟდეპარის და სხვ.

ელიზბარ ბარძიმის ძე

## ღვთის საჩუქარი

(საშობაო ამბავი)

თუმცა ჯერ კიდევ მხოლოდ საღამოს საათის ექვსია, მაგრამ სრულებით ჩამოღამებულია; ცოტა ჰყინავს და თოვლსაც აპირობს. მაღაზიები დღესავით არის განათებული; ყოველივე გამოფენილი საქონელი თავისის ბრწყინვალებით უფრო ამშვენებენ ისედაც გამშვენებულ ვიტრინებს; თვით უბრალო დუქნებიც-კი სცდილობენ, რაც შეიძლება, არ ჩამორჩნენ თავიანთ უფროს, არისტოკრატ თანამოძმეებს და ათასნაირი ტკბილეულობათა შემწეობით ყველა ღონისძიებასა ხმარობენ დაჰფარონ თვისი გაჭუჭყიანებული, გაქონილი დაზგა-თახჩები. შობის ღამეა და, რასაკვირველია, ამისთანა გამოსარჩომი დრო, როგორც არის შობის დღესასწაულები, მოვაჭრეს მხოლოდ ერთხელ მოუვა წელიწადში. მართლაც-და ქუჩები ხალხით არის სავსე, ზოგი საყდარში მიეშურება, ზოგი დასეირნობს, მომეტებული ნაწილი-კი მაღაზიაში შერბის საჩქაროდ სხვა-და-სხვა სავაჭროს სასყიდლად. მეტადრე საკონდიტერო და სათამაშოების მაღაზიებს მისდით ბევრი მუშტარი; ამათ კარებს წამდაუწუმ რახუნი გააქვს და ნოქრები ვერ ასდიან მსყიდველებს.

ყველაფერს სიცოცხლე ეტყობა; ნამეტნავად ქალების სახეზე იხატება ზრუნვით სავსე მეტყველება; მათ ნახევარ ღიმილში ცხადათ გამოისახება მომავალი სიამოვნების მოლოდინი... რამდენი ცნობისმოყვარე პატარა არსება გამალებული შეჰყურებს დედის ხელებს და ცდილობს გამოიცნოს იმ უდიდესი სიხარულის მომგვრელი ნივთის ვითარება, რომელსაც დედა ასე მტკიცედ ჰმალავს; უჰ, რამდენი საათი გაივლის, მანამ დადგება ის ბედნიერი წამი, როცა საყვარელი დედა თეფშით სავსე ტკბილეულობას დაუდგამს წინ და უცნობელ საჩუქარს მიაწოდებს. დაუცხრომელადა სცემს პატარა გული, როცა იგი წარმოიდგენს იმ საუცხოვო სათამაშოს ან წიგნს, რომლებზედაც დედ-მამისათვის იმას ერთხელ-კი არ მოუგონებია. ნამდვილად იცის ცუღლუტმა, რომ მისი დაფარული სურვილი უეჭველად ასრულდება და ამიტომ მოუთმენლად დედას უკან დასდევს.— კუხნაში ნუ მოდიხარ გენაცვალე,— ეუბნება დაყვავებით დედა,—თორემ გაცივდები; ტკბილეულს თავის დროზე მიიღებთ; ხომ იცი, რომ სხვა არაფერი აღარ გერგება! წადი, გენაცვალე, ოთახში, საცაა სტუმრები მოვლენ,—ვერაფერს მოვასწრობ!— პატარა გაიძვერამ კარგათ იცის, რომ დედას საჩუქარი აქვს მისთვის დამზადებული, მაგრამ ჰმალავს; ისიც იცის ნამდვილად, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, ეს დამალული საჩუქარი ხელში ჩაუვარდება; მხოლოდ ვერ გაუგია ასეთი გარემოება: აბა რა სასიამოვნოა კაცის წვალება, როცა ნივთი ნაყიდია და კამოდში ძევს; სულ ერთი არ არი, ეხლა მომცემ, თუ დილაზე კროატის თავით დამიდებ? საკვირველია, ღმერთმანი, რათ უყვართ დედ-მამას შვილების წვალება!—პატარა ბავშვი გლახასავით უკან დასდევს იმ იმედით სავსე, რომ ერთიც არის შეეცოდოს, ან მოსწყინდეს დედას, აიღოს და მოიშოროს შვილი თავიდამ. სხვა დროს დედა ამას უეჭველად ასე იქმოდა, მაგრამ შობა ღამეს-კი იგი ულმობელია. ტკბილეულობას თავის დროზე მისცემს პატარას, მხოლოდ იმ საიდუმლო საგანს-კი გათენებაზე ადრე ვერ მიირთმევს ვაჟბატონი!

ბატონი მიხეილ თაბარაძე თავდაღუნული მოდიოდა სინათლით სავსე ქუჩაში; როცა ამისთანა ფიქრებმა გაურბინა თავში, იგი ინსტინქტიურად მიბრუნდა სათამაშოების მაღაზიისაკენ, მაგრამ ერთბაშად შესდგა, რადგანაც იმ წამსვე მოაგონდა თავისი გარემოება. ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა გამხმარ ლოყებზედ. ვისთვის უნდა ეყიდნა სათამაშოები? სულ ორი კვირა არ არი, რაც დაასაფლავა თავისი ერთად-ერთი ექვსი წლის ვაჟი, მიშო. ამ ხანში (იგი ორმოც-და ხუთ წელიწადს გადაცილებული იყო) განა ადვილია უკანასკნელის შვილის დაკარგვა? მერე რა ყმაწვილი იყო! როგორ მიეგებებოდა ხოლმე მამას ჯერ ისევ კარებში, მოეხვევოდა ფეხებზედ და გაიძვერულად თვალებში შეჰყურებდა, აცა რა მოუტანიაო! მოიგონა მიშოს ურიცხვი კითხვები, რომლებითაც იგი მოსვენებას არ აძლევდა არც დედასა და არც მამას და რისთვისაც მას არ გააჩნდა არც დრო და არც ადგილი. რამდენჯერ ნება-უნებურად უნდა შეეწყვიტნა მუშაობა ბავშვის ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად? მაინც საკვირველი ყმაწვილი იყო: წამდაუწუმ ისეთ კითხვების ახსნას მოითხოვდა, რომ მშობლები სახტადა რჩებოდნენ, იმდენად შეუფერებელი იყო ბავშვისათვის ამ გვარი კითხვები. ათას ნაირი მოგონება აწვებოდა მის მეხსიერებას და დაუნდობლად უწყლულებდა გულს. არა, ღვთისაგან მონიჭებული ბავშვი იყო! მერე ის დალოცვილიც, ამისთანებს რომ საქაოს არ აყენებს..—მოაგონდა მიშოს ავადმყოფობაც. ნეტავი სად შეეყარა ხუნაგი? თუმცა ბევრ ძალას ატანდა თავის მეხსიერებას, მაგრამ ვერც ერთი წვლილი ვერ მოეგონა, რომ გაეგო დასაბამი იმ ულმობელ ავადმყოფობისა. უბედური შემთხვევაა! არა, ღვთის განგებაა! დღენახევარიც რომ არ უავადმყოფნია! სიცხე მისცა თუ არა, იმ წამს ცნობა დაჰკარგა და დედ-მამას ველარ ამცნევდა. მერე ის საშინელი წამი, როდესაც ყმაწვილმა უცებ ფორთხალი დაიწყო, საცოდავად პირი დააღო და ამოსუნთქვა-კი ველარ შეიძლო!—ამ მოგონებაზედ საწყალ მამას თავზე ცივ ოფლმა დაასხა და თითქოს ერთხანად აზროვნობის ნიჭიც დაჰკარგა.—მაგრამ ნელ-ნელა გონზე მოვიდა და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ იმავე სათამაშოების მაღაზიის წინ იდგა. მიხეილმა ერთბაშად აიღო მაღლა თავი და აჩქარებულ ნაბიჯით გასწია შინისაკენ. გულზე საშინელი ბოღმა ეწვა. რა მიაშურებდა? კარგად იცოდა, რომ მისაგებებლად არავინ გამოვიდოდა მოსამსახურის მეტი. სახლში მისი ცოლი, მარიამი, უნდა დახვედროდა, ისიც დაღონებული, გამწარებული, სრულებით ამ უბედურებისაგან მოკლული ადამიანი. რა ნუგეში უნდა მიეცა ცოლისათვის, როდესაც ყოველ სანუგეშო სიტყვის თქმაზე თითონვე ცრემლით ემსებოდა თვალები?—მიხეილი ერთბაშად შესდგა.—მაშ ესე ხო არ უნდა ვიხეტიალო ქუჩებში? დავკარგე სიცოცხლის საგანი...—მოაგონდა კუბოში მწოლიარე მიშო, თოვლივით თეთრი და ანგელოზივით მშვიდი... საწყალ მამას გული ცეცხლით აევსო და თვალებიდამ ცრემლი ღაპა-ღუპით წამოუვიდა.

ამ დროს ვიღაცამ მას მკლავში ხელი მოსჭიდა.

—მიხეილ, დაიმშვიდე გული,—ღმერთი მოწყალეა!

---

სათვის ლაპარაკი ვერ გაჰბედეს. საკვლაოდ თუ გადასდეს თავიანთი ნიჭი წყალის ნაყვისა, უაზრო და უსაგნო ლაპარაკისა, კრების თავმობეზრებისა, და მიზეზიც იმისი, რომ კრებამ ერთ დღეს გადასწყვიტა ასეთი მძიმე საგანი, სწორედ ის იყო, რომ თავმჯდომარეს შეგნებული ჰქონდა ყოველი საკითხი, კრების განსახილველი, და ერთს ნაბიჯსაც არ სცილდებოდა ამ საგანს. თავმჯდომარემ თ. ლ. ა. მაღალაშვილმა განუმარტა ყრილობას საგანი მათის შეკრებისა და უთხრა—აბა რას იტყვით ამა და ამ საკითხზედაო. თავადმა დ. თუმანიშვილმა, ცნობილმა მოღვაწემ იმერეთისამ და ორატორმა, სთხოვა ბ-ნს თავმჯდომარეს მცირე რამ: თქვენს საკითხებს, რისთვისაც მოგიწვევიათ თავად-აზნაურობა, თავი დაანებეთო და ჯერ ჩემი საკითხები განიხილეთ, რადგან ჩემი საკითხები თქვენსას ბევრითა სჯობიაო. თავმჯდომარემ შეჰნიშნა, რომ მაგის უფლებას ვერავის ვერ მივსცემ, რადგან ყოველს წევრს კრებისას ექმნება თავისი რამ საკითხი და შესაძლოა, ძრიელ კარგიც, მაგრამ მე მაგისთვის-კი არ მოგიწოდეთ, მე მინდა შევიტყო თქვენი აზრი შესახებ იმ საკითხებისა, რომელიც მაწუხებენ აგერ მთელი ერთი წელიწადიო.

მართალია, თ. დ. თუმანიშვილმა მაინცა თქვა თავისი სათქმელი, თუმცა თავმჯდომარემ ამისი ნება არ მისცა, მაგრამ სხვებმა ველარ გაჰბედეს ენის წარამარა თაქთაქი და აღარ მოაგონეს კრებას, როგორი სანახავია მოშლილი წისქვილი. თავმჯდომარის სიმტკიცის წყალობით, კრებამ ერთს დღეს გაათავა განხილვა რთულის საგნისა. რომ ცოტაოდენი გულრბილობა გამოეჩინა თავმჯდომარეს, კრება მთელი ორი კვირა გასტანდა და, იქნება, ვერაფერიც ვერ გაერიგებინა და თან ქვეყნის სასაცილოც შექმნილიყო. ეხლა-კი ერთს დღეს გადასწყვიტა საქმე, ჩამოსული ხალხი გულდამშვიდებით დაუბრუნდა თავის სახლ-კარს. ერთის სიტყვით, ყოველის კრების წესი და რიგი, მისი მართებულება და ღირსება უნდა დაიცვას მისმა თავმჯდომარემ. თუ თავმჯდომარე სუსტია, კრებაც გროშად არა ღირს.

**

მართალია, ამ ხელად ერთობ ჩინებულადა თავმჯდომარეობდა ბ-ნი გუბერნიის მარშალი, მაგრამ მაინც ერთი მცირე შენიშვნა უნდა გამოვთქვათ. თავის კანონიერ ღირსების დასაცველად, თავმჯდომარემ უნდა ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ კამათობა არ გაუწიოს არც ერთს წევრს კრებისას. იმან უეჭველად უნდა გააჩეროს უადგილოდ მოლაპარაკე, მაგრამ-კი არ უნდა შეებას ლაპარაკში. რა საჭიროა შებმა, როდესაც კანონიერი უფლება აქვს უთხრას—შენი ლაპარაკი არ შეესაბამება საგანს და გთხოვ დაბძანდე, სხვა ალაპარაკო, ვისაც მართლა აქვს რამ სათქმელიო. მორჩა და გათავდა. თავმჯდომარე მხოლოდ მაშინ აძლევს თავის თავს ლაპარაკის ნებას, როდესაც ჰხედავს, რომ კრებაში ბევრს არ ესმის საგანი, ან ბევრმა ვერ გაიგო რომლისამე წევრის აზრი. მაშინ იგი მოვალეა განმარტოს საგანი და უფრო გასაგებად დააყენოს საკითხი.

მაგრამ შედარებით იმ უთვალავ ნაკლულევანებათა, რომელთაც ჩვენ მივეჩვიენით ქართულ საზოგადო კრებებზედ, აღნიშნული ნაკლი ისეთი მცირე და შეუმჩნეველია, რომ ლაპარაკადაც არა ღირს. მხოლოდ თუ მაინც აღვნიშნეთ, აღვნიშნეთ მარტო იმ სამართლიანის სურვილით, რომ ჩვენმა კრებებმა ამას იქით მაინც მიიღოს შესაფერი ხასიათი, რომ ქართველ საზოგადოების კრება იყოს ყრილობა საქმიანის ხალხისა.

რაიცა შეეხება თვით გზის გაყვანის საქმეს, რომელსაც დღეს ჩვენ ასე ავცდით, უნდა მოგახსენოთ, რომ მისი განხორციელება ჯერ შორს არის. ჩვენ ამ მხრივ გადავდგით მხოლოდ პირველი და საჭირო ნაბიჯი. საქმე-კი დღეის იქით უნდა დაიწყოს, საქმე ცხოველი, ჰკვიანურად წარმართული, საქმე გაჩაღებული. მისი განხორციელება დამოკიდებულია იმ კომისიის მხნეობაზედ, რომელიც ამოირჩია საზოგადო კრებამ და რომელმაც უნდა იმოქმედოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავმჯდომარეობით. აბა, სრული თავმჯდომარეობა სწორედ ამ კომისიის მოქმედებაში დასჭირდება ბ-ნს მარშალს. ხელმძღვანელმა უნდა ყოველი წევრი კომისიისა გამოიყენოს საქმეში და სავსებით გააკეთებინოს თვითოეულს მათგანს სწორედ ის, რაც შეეფერება მის გონებითს ძალღონეს. თუ ჯეროვანად განაწილდება მათ შორის ყოველი წვლილი საქმისა და თვითოეული მათგანი დავალებული იქნება უეჭველად შეასრულოს, რაც-კი რამ მინდობილი აქვს, მაშინ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამერმისოდ, მაისის საგანგებო კრებას, ყოველი მასალა ექმნება ხელში, რომ წარსდგეს სამინისტროს წინაშე უნაკლულო და სრულის პროექტით. იმედი ვიქონიოთ, რომ კომისია ერთს წუთსაც არ გადუხვევს გზას და ერთიან გამოარკვევს ამ რთულ საგანს. ეხლა უნდა აჩქარდეს ბანკის წევრთა საგანგებო კრების მოწვევა საჭირო ფულის გამოსაღებად. უეჭველია, ბანკის კრება ხელს შეუწყობს ამ დიდ საქმეს და მისცემს თხუთმეტ ათას მანეთს სატეხნიკო გამოკვლევისთვის, მაგრამ საქმე ის არის, ვიდრე ამ ფულის გაღება დამთავრდებოდეს, მანამდე ყოველი წინამორბედი მოლაპარაკება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობასთან უკვე გათავებული იყოს, რომ მეორე დღესვე სახელმწიფო ინჟენერები ქართველის საზოგადოების ხარჯით შეუდგნენ დაუყოვნებლივ სატეხნიკო გამოკვლევას, რომ ეს საქმეც მაისისთვის სრულებით მზად იყოს.

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილი ერთბაშად შეშფოთდა, რაღაც წაიბუტბუტა, ხელი ჩამოართვა ნაცნობს და აჩქარებით გასწია შინისაკენ. ნაცნობმა ერთხანად დააპირა უკან გაყოლა, მაგრამ მერე, მოფიქრების შემდეგ, გაბრუნდა თავის გზაზედ.—„ღმერთი მოწყალეა»—რა უმარილო, უშნო ნუგეშია!—გაიფიქრა გამვლელმა და ღრმად ამოიოხრა.

—

მიხეილ თაბარაძეს სამსახურში დიდი ადგილი ეჭირა, ამიტომ სადგური საუკეთესო ქუჩაზედა ჰქონდა დაქირავებული. მიხეილს კეთილ-ცხოვრება უყვარდა და ამის გამო არაფერს აკლებდა თავის პატარა ოჯახს, პატარა შვილს მიშოს სათუთადა ზრდიდა და, მართალი ვთქვათ, ანებივრებდა კიდევაც. მიშო დედ-მამის ერთად-ერთი ნუგეში იყო ამ მოხუცების მოახლოვების ჟამსა; ყოველ წამს იგინი მას თავს დასტრიალებდნენ, ნიავს არ აკარებდნენ და ყოველ თითის წამოტკივებაზედ ექიმებს იბარებდნენ. მაგრამ ულმობელმა სენმა არ დაინდო საკვირველი ბავშვი,—სულ დღე-ნახევარში მოუღო ბოლო... ძნელი წარმოსადგენია დედ-მამის სასო-წარკვეთილება. მიხეილი, როგორც ვაჟკაცი, კიდევ იმაგრებდა თავსა, მაგრამ მარიამი სრულებით ჰკუიდამ შეიშალა: წამდაუწამ გული ულონდებოდა, თავს კედელზე ახლიდა; ხანდახან ერთბაშად წამოვარდებოდა, მიირბენდა ფანჯარასთან და აპირობდა მესამე სართულიდგან გადავარდნას; ღამ-ღამეობით, ნათესაობა რომ არ სდგომოდა თავზე, სადმე კარში ან გაცივდებოდა, ან გადიჩეხებოდა. ბავშვის დასაფლავების დროს კუბოს არავის ანებებდა; ნათესავებმა ძლივ-ძლივობით ააგლიჯეს საცოდავი დედა, რომელიც საზარლად წიოდა და ითხოვდა, რომ შვილთან დაემარხათ. საშინელ ყოფაში იყო თითქმის მთელი პირველი კვირა საწყალი მიხეილი; თითონაც ჯავრისაგან განახევრებული, ეხლა ცოლიც საზრუნავი გაუხდა; აჩრდილივით დასდევდა იგი გაგიჟებულ მარიამს და შიშით კანკალებდა,—აქ არაფერი აიტეხოსო. ღმერთმა უშველოთ ნათესავებს: ისინი რომ არა ყოფილიყვნენ, თითონაც თავს მოიკლავდა. დღე-და-ღამ ხან ერთი ხან მეორე მათგანი ჰყარაულობდა საწყალ მარიამს, და მიხეილს ამ დროს მოეპოვებოდა რამდენიმე საათი მოსასვენებლად. ერთი კვირის შემდეგ მარიამი ერთობ დაწყნარდა, მხოლოდ ხშირად ტიროდა და თითქმის საჭმელს არ ეკარებოდა. მარიამი საშინლად გახდა, გაყვითლდა და ერთბაშად მოიკაკვა. არც მიხეილს დაეყარა კეთილი. ორი კვირა სამსახურში არ დადიოდა, თავის კაბინეთში იჯდა და საშინლად ნაღვლიანობდა; ხანდახან თუ დახედავდა მარიამს, თორემ ერთ ადგილას უძრავად იყო. შობის ღამეს საშინელი ბოღმა მოაწვა ყელზედ და დაახრჩობდა, რომ ჰაერზე არ გასულიყო. მაგრამ ამ გასეირნებამ ძველი მოგონებანი უფრო მომეტებულის სიცხოვლით აუშალა,—ასე რომ თავის შესავალ კარებს რომ მიადგა, მზად იყო ბავშვივით ეღრიალა, რომ ქვეყნისა არ შერცხვენოდა.

მიხეილმა საჩქაროდ მოიწმინდა ცრემლები და ზარი ჩამოჰკრა. კარი მოახლემ გააღო. მიხეილმა ფიცხლავ გაიხადა პალტო და ხმა-ამოუღებლივ გასწია თავის კაბინეთისაკენ. კარი რო შეაღო, ერთობ სახტად დარჩა. ბუხარი გახურებული იყო და წინ მარიამი უჯდა. ფეხის ხმაზე უკანასკნელი მობრუნდა და ნაღვლიანად შეხედა ქმარსა. მიხეილს გამხდარ, გაყვითლებულ ცოლის დანახვაზედ გული მოუკვდა; მხოლოდ ის-კი ძლიერ ესიამოვნა, რომ მარიამს, თუმცა მწუხარე იყო, მაგრამ გონება მოეკრიბნა. რამდენიმე ხანი ოთახში სიჩუმე სუფევდა მარიამი ცეცხლს უყურებდა, მიხეილი კიდევ იატაკს ჩასჩერებოდა. შემდეგ ერთბაშად ერთმანეთს შეხედეს, ამოიოხრეს და ტირილი დაიწყეს.

მიხეილმა აჩქარებით მოიწმინდა ცრემლი და, თავის შემაგრებით, თუმცა აკანკალებულის ხმით, წარმოსთქვა:

— დღევანდელ დღეს დაბადებული იესოს ჩვენი მოწყალე! დამშვიდდი, შენი ჭირიმე,—აბა რა ვქნათ,—სიკვდილ-სიცოცხლე ღვთის ხელთ არი...

მიხეილს კიდევ უნდოდა სანუგეშო სიტყვების თქმა, მაგრამ ველარ მოახერხა და არც საჭირო იყო: საფლავი ჯერ კიდევ სველი იყო და აბა ნუგეში რას გააწყობდა. მიხეილი გაჩუმდა. მარიამი, როცა ტირილით გული მოიოხა, დამშვიდდა და ფიქრს მიეცა. ოთახში მკვდარი მყუდროება ჩამოვარდა. არვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა ეს ყოფა, რომ უცებ რაღაც კნავილის ხმა არ მოსმენოდათ. ცოლ-ქმარმა თავი აიღეს.

— კატის კნუტი ეგდება ეზოში, ცოდაო, ამ სიცივეში ხომ მოკვდა! სუსტის ხმით წარმოსთქვა მარიამმა და აღელვდა.

მიხეილმა ელექტრონული ზარის ღილს თითი დააჭირა, შემოვიდა მოახლე.

— შენ გაზდას, სოფიო, გაიხედე ეზოში, კატის კნუტი ეგდება სადმე, შეიტა კუხნაში და მოუარე.—სოფიო გავიდა და მალეც მობრუნდა.

— ეზოში არსად არა სჩანს კატის კნუტი!—ამ დროს კიდევ მოისმა კნავილი.

— არ გესმის? მიუბრუნდა მარიამი.

— იქნება აქ კიბეზედ იყოს,—ეზოში, კი არაფერი არ არი. წავალ-კიბეზედ, ვნახამ.

არ გაუვლია ორ წამს, რომ სოფო აჩქარებული შემოვიდა კაბინეთში რაღაც შეხვეული ნივთით ხელში; მჩვრებიდამ საცოდავი კნავილი ისმოდა. ცოლ-ქმარმა გაკვირვებით შეხედეს გოგოს.

— ბავშვია! აღელვებულის ხმით დაიძახა სოფიომ.

მიხეილი და მარიამი ერთბაშად წამოვარდნენ ფეხზედ. რამდენსამე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა უყოთ? შეშფოთებითა სთქვა ბოლოს მარიამმა.

მიხეილი მოულოდნელობისაგან გაქვავებული იდგა.

— პოლიციაში გავატანოთ ბიჭსა? იკითხა სოფიომ.

ცოლ-ქმარი ხმას არ იღებდა და თითქოს რაღაცას ჰფიქრობდა. მიხეილი მივიდა ბავშვთან და პირს გადახადა. სიამოვნების ღიმილმა გადურბინა ტუჩებზე.

— შეხედე, მარო, რა მშვენიერი ბალღია!

მარიამი აღელვებული მივიდა და დახედა. ბავშვი საცოდავადა კნაოდა,—ეტყობოდა, რომ დიდი ხნის უჭმელი იყო. მარიამმა აკოცა ბავშვსა და ცრემლები ჩამოჰყარა.

— ბარათი უნდა ჰქონდეს,—სთქვა მიხეილმა და მოუძებნა ბავშვს გულზე. მართლაც და რაღაც ქაღალდი ამოიღო. „დაბადებულია 24 ნოემბერს, მონათლულია 11 დეკემბერს, სახელად მიხეილი ჰქვიან“.

ცოლ-ქმარი გაჩუმებული შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— რას მიბრძანებთ,—წავიყვანო პოლიციაში? დაარღვია სოფიომ მყუდროება. აშკარა იყო, ცოლ-ქმრის გულში რაღაც დიდი ბრძოლა სწარმოებდა; ორივენი საშინლად იყვნენ აღელვებულნი და ხმა ვერ ამოეღოთ.

— მარო,—აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა ბოლოს მიხეილმა,—ახლად დაბადებულ იესოს სახელობაზედ ავიყვანოთ შვილად ეს ახალი მიშო!

ცოლი მიუახლოვდა და კისერზე მოეხვია; ორივენი ტიროდნენ, მაგრამ ეს ცრემლი მწუხარების დამდნობი იყო. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ამისთანა უცნაურ გარემოებათა შორის მოვლენილი ბავშვი უგანგებოდ არ იყო. „ღვთის საჩუქარია!“ ჰფიქრობდა ყოველი მათგანი.

—

როცა ორი საათის შემდეგ გამძღარ ბავშვს მშვიდათ ეძინა ახალი დედის საწოლის გვერდით, თვით ახალი დედა ფეხ-აკრეფით მიეშურებოდა ახალ მამასთან კაბინეთში; იგი საშინლად აღელვებული და შეშინებული იყო.

— მიხეილ, ხვალვე უნდა გადავიდეთ აქედამ,—მიშოს აქ არ დაედგომება.

საშინელი ხუნაგი განხორციელებულ სიკვდილის სახით წარმოუდგა მიხეილს თვალ წინ და შიშის ზარი დასცა.

— ხვალვე, უეჭველად ხვალვე, თუნდა რომ გომურშიაც მოგვიხდეს დგომა! წამოიძახა გაფითრებულმა მიხეილმა.

ა. მ. ბ—შვილი

## გასართობი

(სხვა-და-სხვა დროს, სხვა ადგილს გაგონილი ამბები)

თეატრში.

— როგორ მოგწონს დღევანდელი პიესა?

— არა უშავს-რა. მესამე მოქმედებაში ერთი სურათი მრიელ მომეწონა.

— რომელი სურათი?

— აი ისა: სცენა ტყეს წარმოადგენს; არტისტები პატარა ხნით სცენიდგან გადიან და ტყე სულ ცარიელი რჩება.

იშვიათი ამბავი.

— წარმოიდგინე! სრული წელიწადია, რაც მხიარულიძემ ჯვარი დაიწერა და ცოლ-ქმარს ჯერ ერთხელაც არ უჩხუბნიათ!

— დიდი ამბავი მომხდარა! მე ისეთ ცოლ-ქმარს ვიცნობ, 30 წელიწადია, რაც ჯვარ-დაწერილები არიან და ერთმანეთისათვის ჯერ ერთი ცუდი სიტყვაც-კი არ უთქვამთ.

— რას ამბობ? მართლა? მერე ვინ არიან ეგ ბედნიერნი ცოლ-ქმარნი?

— ვინა? ჩვენი მეზობლები. ქმარიც მუნჯია და ცოლიც.

ფსევდონიმი.

— უკაცრავად-კი არ გახლდეთ, თქვენი გვარი ხომ ტალახაშვილია და რად ამბობთ ხოლმე, გორგასლანიძე გარო?

— მართალია, გვარად ტალახაშვილი გახლავართ, მაგრამ ეგ ჩემი ფსევდონიმია.

— როგორ? დაგიბეჭდიათ რამე მაგ ფსევდონიმით? მე არსად რა შემხვედრია?!.

— დიაღ, ხუთასი ცალი „ვიზიტნი კარტოჩკა“ დავაბეჭდინე.

მჭევრმეტყველი.

— უბედამე მრიელ მჭევრ-მეტყველი კაცია.

— რა მოგახსენოთ, ქართული ლაპარაკი-კი რიგიანად არ იცის და!

— მერე რა ვუყოთ, ქართული რომ არ იცის. ციცერონმაც ქართული არ იცოდა მაგრამ შესანიშნავი მჭევრ-მეტყველი-კი იყო.

როგორ იცვლება ამინდი.

ცა მოწმენდილია, მზე კაშკაშებს.

— გენაცვალე, ჩემო მტრედო! ჩემო გვრიტო! რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!..

მოიღრუბლა.

— მაშ არ მიყიდი ახალ კაბას?.. არა?.. ჰმ... ჰმ... ჰმ...

წვიმს.

— ღმერთო! რა უბედური ქალი ვარ!!! ისეთს კაცს მივთხოვდი, რომელსაც მასკარადისთვის ერთ ახალ კაბის ყიდვაც-კი ენანება ჩემთვის!.. საზიზღარო!.. მტარვალო!.. ჯალათო!.

ელვა-ჭექა და ქუხილი.

— არ გეგონოს, რომ მე ეგ დაგითმო, ისეთი ქალი არ გახლავარ!.. ა-რ-ა-ა!.. მაშ, არ მიყიდი, შე მაიმუნო შენა?.. მაშ ქსეც შენ... ქსეც.,. ქსეც... ქსეც... (საბრალო მტრედსა და გვრიტს სეტყვასავით თავს ატყდება თეფშები, სტაქნები, ჯამები, შანდლები და სხ.).

???

# დეპეშა

24 დეკემბერი

**ტაშკენტი.** გენერალ-გუბერნატორის კონფირმაციით იმ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელთაც სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა 24 ივნისს არეულობის მოხდენისათვის ტაშკენტში, სიკვდილის მაგიერ გაუჩინეს კატორგა: ორს უვადოთ და ექვს ვადით 15-20 წლამდე; უფროს აქსაყალად ნამყოფს ინოჰამ ჰოჯუს გადუწყვიტეს არესტანტების როტებში ყოფნა 4 წლით; ყაზათ ნამყოფი შარივ ხოჯა ერთის წლით განდევნილ იქმნა თურქესტანიდამ რომელიც მთავრობისაგან გამოცხადებულია მშვიდობიანობის მხრივ საეჭვო მხარედ. ყველა დანარჩენნი დამნაშავეთ სასჯელი შეუმსუბუქეს; ერთი სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 22 დეკემბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,96 | | 8 99 | | — | ,, |
| ტფამოყნის კუპონები . | 159 | | 159 3/4 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | | 1,10 | | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | ,, | — | ,, | 243 1/4 | |
| —მეორისა . . . . . | 215 | | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — | ,, | — | ,, | 192 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5%. . . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5%. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Декабря 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.